აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 3

28 დეკემბერი 2015 წელი **ქ. ბათუმი**

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: გუგული დუაძე, თამარ ხოზრევანიძე, ზურაბ გოლიაძე, რამაზ გოლომანიძე და თორნიკე მჟავანაძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ;

2. განკარგულება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ;

3. განკარგულება - უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ;

4. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: ზურაბ გოლიაძემ, გუგული დუაძემ, თამარ ხოზრევანიძემ, თორნიკე მჟავანაძემ და არჩილ მიქელაძემ.

ზურაბ გოლიაძემ ითხოვა სხდომის გადადება. მან აღნიშნა, რომ მ/წ დეკემბრის თვის ხელფასი უკვე გაცემულია თავმჯდომარის მოადგილის და კომისიის მდივნის მ/შ პირებზე, შესაბამისად, მათი ხელახლა არ არჩევის შემთხვევაში უკვე გაცემული დეკემბრის თვის ხელფასიდან მოუწევთ რაღაც ნაწილის უკან დაბრუნება.

გუგული დუაძემ, თამარ ხოზრევანიძემ და თორნიკე მჟავანაძემ, ასევე, ითხოვეს სხდომის გადადება მათ, აღნიშნეს, რომ საჭიროა კონსულტაციების გამართვა, რადგან, მოხდეს კანდიდატურებზე ჩამოყალიბება.

თორნიკე მჟავანაძემ, აღნიშნა, რომ ვიღაცის სასარგებლოდ უნდა გააკეთოს არჩევანი და ამისათვის სჭირდება რაღაც დრო თუნდაც რამოდენიმე საათი გადაწყვეტილების მიღებისათვის.

არჩილ მიქელაძემ კომისიის წევრებს შესთავაზა სხდომის ერთი საათით გადადება.

კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება სხდომის დაწყების გადადების შესახებ.
კომისიის სხდომის დაწყება გადაიდო 10:30 სთ-დან - ერთი საათით.

კომისიის სხდომა განახლდა 11:30 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. **განკარგულება** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ;

2. **განკარგულება** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ;

3. **განკარგულება** - უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ;

4. სხვადასხვა.

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტი და

აღნიშნა, რომ საარჩევნო კანომდებლობის თანახმად, კომისიამ თავისი შემადგენლობიდან უნდა აირჩიოს უსკოს თავმჯდომარის მოადგილე სრული შემადგენლობის უმრავლესობით, სახელობითი კენჭისყრით, ასევე აღნიშნა, რომ წინა სხდომაზე (მ/წ 02 სექტემბერი) კენჭისყრის შედეგების თანახმად, კომისიამ ვერ აირჩია თავმჯდომარის მოადგილე და კომისიის მდივანი, შესაბამისად, საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნული განკარგულების პროექტი კვლავ დადგა დღის წესრიგში. არჩილ მიქელაძემ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის თანახმად, კომისიას შესთავაზა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატურის დასახელება.

აზრი გამოთქვეს: თორნიკე მჟავანაძემ, თამარ ხოზრევანიძემ, ზურაბ გოლიაძემ და რამაზ გოლომანიძემ.

კომისიის წევრებმა: თამარ ხოზრევანიძემ, თორნიკე მჟავანაძემ, ზურაბ გოლიაძემ და რამაზ გოლომანიძემ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ვაკანტურ თანამდებობაზე დაასახელეს გუგული დუაძის კანდიდატურა.

კომისიის წევრებს შენიშვნები და სხვა წინადადებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ვაკანტურ თანამდებობაზე გუგული დუაძის კანდიდატურის არჩევის შესახებ.

სახელობითი კენჭისყრის შედეგები:

1. მიქელაძე არჩილ - მომხრე
2. ხოზრევანიძე თამარ - მომხრე
3. დუაძე გუგული - მომხრე
4. გოლიაძე ზურაბ - მომხრე
5. გოლომანიძე რამაზ – მომხრე
6. მჟავანაძე თორნიკე - მომხრე

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

ჩატარებული სახელობითი კენჭისყრის შედეგად უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეული იქნა გუგული დუაძე.

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-14 მუხლის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. არჩეული იქნეს გუგული დუაძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს: არჩილ მიქელაძემ მიულოცა გუგული დუაძეს უსკოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევა და უსურვა წარმატებები.

2. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, კომისიამ თავისი შემადგენლობიდან უნდა აირჩიოს უსკოს მდივანი. არჩილ მიქელაძემ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის თანახმად, კომისიას შესთავაზა უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატურის დასახელება.

აზრი გამოთქვეს: გუგული დუაძემ, თორნიკე მჟავანაძემ, თამარ ხოზრევანიძემ და ზურაბ გოლიაძემ.

გუგული დუაძემ და თორნიკე მჟავანაძემ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის ვაკანტურ თანამდებობაზე დაასახელეს თორნიკე მჟავანაძის კანდიდატურა.

.

ზურაბ გოლიაძემ და თამარ ხოზრევანიძემ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის ვაკანტურ თანამდებობაზე დაასახელეს თამარა ხოზრევანიძის კანდიდატურა.

კომისიის წევრებს შენიშვნები და სხვა წინადადებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის ვაკანტურ თანამდებობაზე თორნიკე მჟავანაძის კანდიდატურის არჩევის შესახებ.

სახელობითი კენჭისყრის შედეგები:

1. მიქელაძე არჩილ - მომხრე
2. ხოზრევანიძე თამარ - თავი შეიკავა
3. დუაძე გუგული - მომხრე
4. გოლიაძე ზურაბ - თავი შეიკავა
5. გოლომანიძე რამაზ – თავი შეიკავა
6. მჟავანაძე თორნიკე - მომხრე

მომხრე 3;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

ჩატარებული სახელობით კენჭისყრის შედეგების მიხედვით კომისიის მდივნად არ იქნა არჩეული თორნიკე მჟავანაძე.

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-14 მუხლის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. არ იქნეს არჩეული თორნიკე მჟავანაძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.
(თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის ვაკანტურ თანამდებობაზე თამარ ხოზრევანიძის კანდიდატურის არჩევის შესახებ.

სახელობითი კენჭისყრის შედეგები:

1. მიქელაძე არჩილ - მომხრე
2. ხოზრევანიძე თამარ - მომხრე
3. დუაძე გუგული - თავი შეიკავა
4. გოლიაძე ზურაბ - მომხრე
5. გოლომანიძე რამაზ – მომხრე
6. მჟავანაძე თორნიკე - თავი შეიკავა

მომხრე 4;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

ჩატარებული სახელობითი კენჭისყრის შედეგად უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნად არჩეული იქნა თამარა ხოზრევანიძე.

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-14 მუხლის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. არჩეული იქნეს თამარა ხოზრევანიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.
(თან ერთვის)

3. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კომისიის წევრებს გააცნო „უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის თანახმად, თავმჯდომარის წარდგინებით უსკო-ს მიერ დამტკიცებული უნდა იქნეს 2016 წლის მიმდინარე ხარჯები (ხარჯთაღრიცხვა) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის არჩევნების ჩატარებისათვის გამოყოფილი ხარჯები. სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, მოკლედ გააცნო მომავალი წლის მიმდინარე და 2016 წლის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი ხარჯები, რის შემდეგ, სიტყვა გადასცა უსკო-ს ეკონომიკური სამსხურის უფროსს, ლევან სამნიძეს, კომისიისათვის დეტალურად გაეცნო უსკო-ს 2016 წლის ხარჯთაღრიცხვა.

ეკონომიკური სამსახურის უფროსმა, ლევან სამნიძემ, კომისიას დეტალურად გააცნო ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: ზურაბ გოლიაძემ, თორნიკე მჟავანაძემ და არჩილ მიქელაძემ.

ზურაბ გოლიაძე დაინტერესდა, რამდენად, შესაძლებელია უსკო-ს მიერ მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება, მაშინ როდესაც, ჯერ არ არის მიღებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონი.
თორნიკე მჟავანაძემ აღნიშნა, რომ რესპუბლიკური ბიუჯეტის არ მიღება ხელს არ უშლის უსკომ მიიღოს მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვა.

არჩილ მიქელაძემ აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის თანახმად, უსკო უფლებამოსილია თავმჯდომარის წარდგინებით დაამტკიცოს მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვა. ასევე აღნიშნა, რომ თუ მომდევნო საბიუჯეტო წლის დაწყებამდე უმაღლესი საბჭო ვერ დაამტკიცებს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტს, აუცილებელი საბიუჯეტო ხარჯები დაიფარება წინა წლის საბიუჯეტო ხარჯების მიხედვით, (ახალ საბიუჯეტო წელს ყოველთვიურად არა უმეტეს გასული წლის ასიგნებების 1/12-ის ოდენობით.) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის ხარჯთაღრიცხვა დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.
(თან ერთვის)

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.
სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	**არჩილ მიქელაძე**
კომისიის მდივანი	**თამარა ხოზრევანიძე**